ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №80

ქ. თბილისი 4 ოქტომბერი, 2019 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი საბჭოს მდივნის გიორგი მიქაუტაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ულტრა“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კარბელაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

„შემსყიდველმა“, მოლაპარაკების საფუძველზე, „მიმწოდებლისგან“ მიიღო წინადადება კომპიუტერის აქსესუარების (30230000 - კომპიუტერთან დაკავშირებული მოწყობილობები) მიწოდებაზე, საერთო თანხით 712 (შვიდასთორმეტი) ლარი (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე, 2 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი _ მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
5. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 4 ოქტომბრიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	**შპს „ულტრა“**
მისამართი: ქ.თბილისი, ბოჭორმის ქ.№12 ტელ.: 227 31 13 სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22; ა/ა: №GE24NB0330100200165022; საიდენთიფიკაციო №203855658	მისამართი: ქ. თბილისი, ღვინის აღმართი №23 ტელ.: 2774488 (2017) სს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: №GE41TB7399736020100003; საიდენთიფიკაციო №206258182

გიორგი მიქაუტაძე
საბჭოს მდივანი

ირაკლი კარბელაშვილი
დირექტორი

High Council of Justice of Georgia

Digitally signed by High Council of Justice of Georgia
Date: 2019.10.04 15:45:47 +04'00'

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1 .1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - ,,შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს და ნორმებს.

3. საპატენტო უფლებები

საქონლის საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტანდარტებსა და ნორმებთან.

4.2 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს თანამშრომლები.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. საქონლის ოდენობა და მიწოდების პირობები

5.1 შემსყიდველი მიმწოდებლისგან შეისყიდის შემდეგი დასახელების და რაოდენობის საქონელს:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	დინამიკი 2.0: SVEN 247 Black 4W USB	2	25	50
2	მაუსი უკაბელო: A4-Tech Mouse G9-500F Wireless USB	10	26	260
3	ყურსასმენი: Logilink TM033 Typhoon Rockstar Headset white	5	44	220
4	მაუსი: A4-Tech Mouse N-740X V-Track USB	5	22	110
5	დინამიკი: SVEN 314 BLACK usb 4w	3	24	72
	სულ:			**712**

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №12 - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის შესახებ, წუნდების მიზეზის მითითებით.

7. გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, ხარისხიანი (სტანდარტის შესაბამისი) საქონლის მიწოდებაზე.

7.2 მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადით.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისგან დაზიანებული საქონლის თაობაზე მიღებული შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს დაზიანებული საქონლის შეკეთება ან იმავე ოდენობით შეცვლა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.4 შემსყიდველისათვის საქონლის მიღების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში საქონლის დაზიანებით გამოწვეულ ზარალს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

7.5 მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და შემდგომ მოსთხოვოს მიმწოდებელს შემსყიდველის მიერ გაწეული შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ამ ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

10. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულებაში მითითებული შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 712 (შვიდასთორმეტი) ლარის.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის დამოწმებული ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, კერძოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

16.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

16.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.4 16.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

17. ფორს-მაჟორი

17.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

18.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

LLC Ultra

Digitally signed by LLC Ultra
Date: 2019.10.04 16:43:24 +04'00'